

"რას დაარქმევდით მეზობელს, რომელიც ყოველდღე რაღაცას გტაცებს კარმიდამოდან, ღობეს კი მალულად აჩოჩებს თქვენს ტერიტორიაზე? - ცხადია, თვალის სინათლეს ვერა. ერთ დღეს კი მოთმინების ფიალაავსებული, სხვა თუ არაფერი, ამხელთ მაინც. სწორედ ასეთი მხილებაა "კვირის პალიტრაში" დღემდე დაბეჭდილი ნებისმიერი სტატია, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების შემლახავ ქმედებებს ეხება. ამიტომ მას შემდეგ, რაც მესხეთში, სოფელ წყალთბილაში ქართული ტაძრის ნანგრევებზე ადგილობრივმა სომეხმა მოსახლეობამ თავისი სალოცავი ააშენა, გადავწყვიტეთ ჩვენი თვალით გვეხილა და დამნაშავეც გვემხილებინა. სწორედ ამ მიზნით გავემგზავრე ახალციხეში. რეგიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომელიც მზად არის ქართულ სოფლებში მუშაობისთვის ყველანაირი პირობა შეუქმნას ჟურნალისტებს, ვალესა და წყალთბილაში ჩემი გაცილებისგან თავი შეიკავა - საკვლევო ობიექტის სიშორე მოიმიზეზეს. ამ მარშრუტით მოგზაურობაზე ვერც ტაქსის მძღოლები დავითანხმე. გამომიცხადეს, მანდ რა გინდა, შეიძლება ვიღაცის მსხვერპლი გახდე, სოფელში შესულ უცხო პირს, ქართველს და თანაც ჟურნალისტს ერჩიანო. ამან კიდევ უფრო გამაღიზიანა და რომ არა ახალციხელი სომეხი სამველ ოვიანი, შეიძლებოდა ხელმოცარული გამოვბრუნებულიყავი უკან. მან შემომთავაზა, ერთად წავსულიყავით და გაგვერკვია, რა ხდებოდა წყალთბილაში. სოფლის ცენტრში, დაკეტილი მაღაზიის წინ ჩამომსხდარ 80 წელს გადაცილებულ სომეხებს მივესალმე. ქართულადვე მიპასუხეს, მომიკითხეს და დარდიც გამიზიარეს, არ მოგვწონს რუსეთსა და საქართველოს შორის ასე რომ გაფუჭდა ურთიერთობაო. მათმა დამტკრეულმა ქართულმა კი გამახარა. ახალციხეში ნათქვამი, იმ სოფელში ქართული არავინ იცისო, სიცრუე აღმოჩნდა. თუმცა მე უფრო მნიშვნელოვანი, ეკლესიის ამბები მაინტერესებდა. მოხუცებმა მითხრეს, ჩვენ სამლოცველო მოსკოვში მცხოვრები ჩვენებური სომხის ფულით ავაშენეთ, თანაც ქართული კი არა, ბერძნული ტაძრის ნანგრევებზეო. ავუხსენი, რომ აქ ბერძნებს არასდროს უცხოვრიათ. მერედა რატომ არავინ მოვიდა და არაფერი

გვითხრაო, - გაიკვირვეს მოხუცებმაც და შემოსწრებულმა ახალგაზრდებმაც.

სოფლის მოსახლეობასთან გასაუბრების შემდეგ ქართული ეკლესიის ნანგრევებში სოკოსავით ამოსული სამლოცველოც მოვინახულეთ.

ცოტა ხნის წინ ამ სამლოცველოს აშენების ამბავი ისტორიკოსმა ქალბატონმა თინა იველაშვილმა გაახმაურა.

თინა იველაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: - ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაბა ვალეში, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ნანგრევებში სომეხმა მოსახლეობამ სამლოცველო ჩადგა, მცდარია. ამგვარი ფაქტი მართლაც მოხდა, მაგრამ არა ვალეში, არამედ სოფელ წყალთბილადან 3 კილომეტრით დაშორებულ კუდრაში (ეს ნასოფლარია და სწორედ ასე მოიხსენიება მე-16 საუკუნეში შედგენილ გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში).

წყალთბილაში კომპაქტურად ცხოვრობენ 1829-30 წლებში არზრუმ-ყარსიდან შემოსახლებული სომხები.

- თქვენ როგორ მიაგენით ქართულ ეკლესიაში ჩაშენებულ სომხურ სამლოცველოს?

- როდესაც მარდის ეკლესიაზე ვმუშაობდი (სხვათა შორის, იგი იმ ექვს ეკლესიათაგანია, რომელთა გადაცემასაც სომხეთის საპატრიარქო ითხოვს), ეს პრობლემაც მაშინ ამოტივტივდა. რაღა თქმა უნდა, მოვითხოვე, ეს ყველაფერი ეჩვენებინათ... 5-კაციანი ჯგუფი ჩავედით, ჩავიტანეთ ფოტო და ვიდეოაპარატურა და ყველაფერი აღვწახეთ. ნახსენები ეკლესია, რომელიც ამ ფოტოებზეა, საქართველო-თურქეთის საზღვარს უფრო ემიჯნება, ვიდრე

წყალთბილას. საბჭოთა ეპოქაში ამ ზონას განსაკუთრებული სიმკაცრით იცავდნენ - სპეციალური საშვის გარეშე იქ ვერავინ შევიდოდა. სხვათა შორის, ეკლესიისთვის რუს სამხედროებს ხელი არ უხლიათ. საბჭოთა ჯარის გასვლის შემდგომ ხსენებული ტერიტორია სომეხმა მოსახლეობამ აითვისა - ხვნა-თესვა დაიწყო... ეკლესიას კი უარეს, უარეს გარს და გადაწყვიტეს, მის ნანგრევებში სომხური სალოცავი ჩადგათ და ჩადგეს კიდევ წელს (თარიღი გარკვევით ჩანს იქ ჩადგმულ ქვაჯვარზე)...

- ტაძარს შორიდან თუ შევხედავთ, ვერავინ ვერაფერს მიხვდება...

- გზიდან არაფერი ჩანს - ქართული ტაძრის ნანგრევების წინა კედელი შეინარჩუნეს, აგრეთვე სამხრეთისაც, დასავლეთის კედელი მოარღვიეს და ტუფის დაბალი გალავანი მიაშენეს, შიგნით ჩაუდგამთ სომხურწარწერიანი ქვაჯვარი და თავად სამლოცველო...

ეს ყოველივე თვითნებურად, საქართველოს კანონმდებლობის სრული უგულვებელყოფით მოხდა. სამწუხაროდ, დღემდე ამაზე არც ძეგლთა დაცვის რეგიონულმა განყოფილებამ აიმაღლა ხმა და არც კულტურის სამინისტრომ... არადა ეს ნაგებობა უნდა დაინგრეს, მისი “შემოქმედნი” კი დაისაჯონ. მეჩეთი იქნება, კათოლიკური ეკლესია, სინაგოგა თუ მართლმადიდებლური ტაძარი, როგორც ისტორიული ძეგლი, სახელმწიფოსგან დაცული უნდა იყოს: არ უნდა დაინგრეს, დაირღვეს, დამახინჯდეს და არც ოფიციალური ნებართვის გარეშე, თვითნებურად შეკეთდეს ან სახეცვლილება განიცადოს...

წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დაახლოებით IX-XI საუკუნეების ქართული ძეგლია და თუ მის რესტავრაციას ვერ შევძლებთ, იმ სახით მაინც უნდა შევინარჩუნოთ, რა სახითაც დღემდე მოვიდა. ბოლოს და ბოლოს, მისთვის საბჭოთა ეპოქაში არ უხლიათ ხელი და ახლა რაღა ხდება?! კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე იქ კენჭიც არ უნდა

გადაადგილდეს - კანონი ამას ითვალისწინებს... ფაქტია, ხდება ქართული კულტურის ძეგლების მითვისება (ასე მოხდა სოფელ აბის ხევში და ნასოფლარ ორჭოსანში). ქმნიან საზოგადოებრივ აზრს (ამას სრულიად გამიზნულად და ნაბიჯ-ნაბიჯ აკეთებენ), რომ ზემოხსენებული ტაძრის ნანგრევი სომხურია და ამიტომაც ჩადგეს იქ სამლოცველო... გავა ათი, ასი და მეტი წელიწადი და მსოფლიოს ეცოდინება, რომ დიახაც, ეს სომხური მიწა და ძეგლები ყოფილა...

ეს არის სავსებით შეგნებული და მიზანმიმართული მითვისება ქართული ძეგლებისა და მცდელობა მათი გასომხურებისა.

ახლა ახალციხესა და ასპინძასაც გადასწვდნენ... საბუთებით ასპინძაში არსებულ თოკის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაციას ადგილობრივი სატყეო მეურნეობის უფროსი თედორაძე (ამ საქმეში, როგორც ვიცი, 40 ათასი დოლარი იყო ჩადებული) აფინანსებდა. ყველა მუშა ეროვნებით სომეხი ჰყავდათ და სპონსორი თედორაძე კი არა, რუსეთში მცხოვრები სომეხი, ვინმე მუგულა აგაჯანიანი იყო... თედორაძე, უბრალოდ, ფულს დახარბდა... როცა მას დოკუმენტები მოვთხოვე, ვერაფერი წარმოადგინა. მაშინ რამდენჯერმე დავეუკავშირდი კულტურის მინისტრის მოადგილეს ბატონ ნიკა ვაჩიშვილს. აღმოჩნდა, რომ ტაძრის რესტავრირების ნებართვა არავის გაუცია. სამინისტრომ თავისი წარმომადგენელი გაგზავნა და როგორც იქნა, თოკის მონასტრის “სომხური რესტავრაცია” დაკონსერვდა...

ასე რომ, “თავზე ხელის გადასმის” პოლიტიკისა და ღუმლის დრო წავიდა...

- ქალბატონო თინა, ადგილობრივი სომეხი მოსახლეობა რას ამბობს?

- საერთოდ გვემალეობდნენ და ხმა არ ამოუღიათ... თუ რაიმეში ვტყუი, შეუძლიათ სასამართლოში მიჩივლონ. სხვათა შორის, თედორაძესაც შევეუთვალე, თუ თქვენ მართალი აღმოჩნდებით და მე მტყუანი, საქვეყნოდ

ბოდიშს მოგიხდით-მეთქი... არც სომეხ მოსახლეობას შეურაცხვეოფ და არც სხვას, მაგრამ მე რომ შენს ძეგლს და კულტურას პატივს ვცემ, შენც გაუფრთხილდი ჩემსას და ნუ მედავები ჩემსავე მიწაზე. სამწუხაროდ, ეს არ გახლავთ ერთადერთი შემთხვევა - სოფელ აბის ხევში და ნასოფლარ ორქოსანშიც, სადაც ქართული მამათა მონასტრის ნასაძირკვლარია, იგივე განმეორდა - სამლოცველო ჩააშენეს...

სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი იოანე გელაშვილი წუხს, რომ ამ ინფორმაციას მხოლოდ მცირე ხნით მოჰყვა აჟიოტაჟი ქართველ საზოგადოებაში.

დეკანოზი იოანე გელაშვილი: “ეს ამბავი უკვე ყველამ იცის, კულტურის სამინისტრომაც და მისმა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმაც, მაგრამ რატომღაც დღემდე არავინ რეაგირებს. როგორც ჩანს, ტელევიზიაში ნათქვამიც და გაზეთში დაწერილიც ცოტა ხნის შემდეგ ყველას ავიწყდება და საქმეც გაუკეთებელი რჩება. ხელმოკლე მართლმადიდებლურ ეკლესიას არ აქვს საშუალება, ძველი ნატაძრალეი აღადგინოს. ამასობაში კი სხვები ეპატრონებიან ჩვენსას და ცდილობენ, წაშალონ ძველი ქართული მონასტრების კვალი”.

სომხეთში საქართველოს საწინააღმდეგო იდეოლოგიის არსებობას გამორიცხავს ჩემი ახალციხელი მეგზური სამველ ოვიანი. მისი თქმით, საქართველოსა და სომხეთის წაკიდებით დაინტერესებული რუსული რეაქციული ძალები არიან. ზოგიერთი სომეხი ხელმოკლეობის გამო იოლად ეგება უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ანკესზე. ამიტომაც სამველ ოვიანი საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს, მეტად იზრუნოს რეგიონის ეკონომიკურად გაძლიერებაზე და ხშირად გამოჩნდნენ მესხეთ-ჯავახეთში, რათა აქაურებს არ დაავიწყდეთ, რომ ეს მიწა საქართველოსია, ისინი კი საქართველოს მოქალაქეები არიან.

წყალთბილაში ქართული ეკლესიის ნანგრევებში სომხური სამლოცველოს ჩაშენების ფაქტმა გააკვირვა საქართველოს პარლამენტის წევრი ვან ბაიბურთი, რომელიც რატომღაც საკუთარი თვალით ნანახსაც არ მიჯერებდა(?!).

- თქვენ ხუროთმოძღვრების ან არქიტექტურის სპეციალისტი ხართ, დასკვნებს რომ აკეთებთ? წყალთბილაში სომხები 1832 წლიდან ცხოვრობენ. დანამდვილებით შემძლია გითხრათ, რომ მანდ სომხებს ქართული ეკლესიის ადგილზე არაფერი აუშენებიათ.

- ეს ჩემთან ერთად სომეხი ეროვნების მეგზურებმაც ნახეს. შეგიძლიათ ისტორიული დოკუმენტებსაც გაეცნოთ ამ ნანგრევებზე არსებული უძველესი ქართული ეკლესიის შესახებ. წყალთბილას გარდა, ჯავახეთისა და მესხეთის სხვა სოფლებშიც ააშენეს სომხური სამლოცველოები ქართულ ნატაძრალეებზე. არც ეს გსმენიათ?

- მე ერთი რამ ვიცი - სომხებიც ქრისტიანები არიან და სამცხე-ჯავახეთში გადმოსახლების შემდეგ ისევე ლოცულობდნენ ქართული ეკლესიების ნანგრევებში, როგორც ქართველები. თუ ის ნანგრევები დღეს სამლოცველოდ აქციეს, ამაში ცუდი რა არის? თუ ვინმეს სურდა ისევ ქართული ტაძრის აშენება, იქნებ ქართული ეპარქიის წარმომადგენლები წასულიყვნენ და აღედგინათ ნანგრევები(!). რატომ ვცდილობთ ყველაფერში ცუდის დანახვას? მოდი, ლოგიკურად ვიმსჯელოთ - მე ვარ ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს პატრიოტი. არ მინდა ქართველებსა და სომხებს შორის ცუდი ურთიერთობა იყოს, ერთმანეთს დაუპირისპირდეს ქართველი და სომეხი საზოგადოება. როდესაც იტყვიან, ქართულ ნაეკლესიარზე სომხებმა სალოცავი ააშენესო, ეს ქართველ საზოგადოებაში სომხების მიმართ აგრესიას გამოიწვევს. ამიტომაც ამ თემაზე საჯარო გამოსვლებს ჯობია ქართული ეპარქიის წარმომადგენლები აშენებდნენ ახალ ტაძრებს(?!).

- ამის დროც მოვა, მაგრამ არავის აქვს უფლება, ამით ისარგებლოს და ჩვენი კულტურული და რელიგიური, ისტორიულად მართლმადიდებლური ძეგლები სურვილისამებრ განაგოს.

- დაჟინებით გთხოვთ, ნუ ვილაპარაკებთ წყალთბილას თემაზე.

- რატომ უნდა გავჩუმდე? იქნებ იმაზეც არაფერი უნდა ვთქვათ, ტაძრებს რომ გვედავებიან. თქვენი აზრით, ვისია კუმურდო, ჰუჯაბი, შულავერი?

- აქ იმდენად აშკარაა ყველაფერი, რომ სადავო არაფერია. მგონი, კუმურდო მეათე საუკუნეშია აშენებული.

- ტაძარი ქართულია თუ სომხური?

- ქართველები ამბობენ, ქართულიაო და ამ აზრს უფრო ვეთანხმები, რადგან მეათე საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში სომხები არც ისე მრავალრიცხოვანნი იყვნენ. ისე, რა მოხდა, თუ კუმურდოში სომხებიც ილოცებენ?

- ამაში სომხებს ერთი რამ უშლით ხელს - გრიგორიანელები არიან.

- თქვენ სულ იმას ეძებთ, რაც ჩვენ გვაშორებს. მე ვიცი, რომ ქართული და სომხური ეკლესია მეექვსე საუკუნემდე ერთი იყო. მინდა, კავკასიაში ერთადერთი ქრისტიანული კუნძული - საქართველო და სომხეთი ძმებივით იყვნენ. სხვათა შორის, მათ გათიშვას და მერე ცალ-ცალკე განადგურებას ბევრი ცდილობს.

- თუ სომხეთში ყველას ესმის ამ ძმობის ფასი, რატომღა გამოაცხადეს ქართული ხალხური სიმღერები “ჩაკრულო” და “მრავალჟამიერი” სომხურ სიმღერებად?

- სომხებს არაფერიც არ გამოუცხადებიათ. ეს გააკეთა გერმანულმა ფირმამ და მას უნდა უჩივლოთ.

- როგორც აღნიშნეთ, თქვენ ძალიან არ გსურთ ჩვენს ხალხებს შორის დამაბულობა, რატომ არ გააპროტესტეთ ეს “შეცდომა”?

- მეც და სომხეთის საზოგადოებამაც ეს ამბავი ქართულ პრესაში გახმაურების შემდეგ გავიგეთ. გააკეთა კიდეც განცხადება ამის შესახებ სომხეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ. დაგერეკათ გერმანიის საელჩოში და შემდეგ დისკის გამომშვებ გერმანულ ფირმაში და გაგერკვიათ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი?!

- რაც გავარკვით და ჩვენი თვალთ ვნახეთ წყალთბილაში, იმაზე რას იტყვით, გაჩუმება სჯობს?

- არ არის სიმართლე, რასაც თქვენ ამბობთ(?!). თუ ასეა, ქართულმა ეპარქიამ რატომ არ გამოთქვა პროტესტი ამაზე?

- როგორ არ გამოთქვა, როგორც ჩანს, ქართულ ტელეარხებს არ ადევნებთ თვალს. სხვათა შორის, არმენოლოგმა **ალექსანდრე** აბდალაძემ თქვენზე თქვა, თვეში 1.000 დოლარი შემომთავაზა იმისთვის, რომ გავჩუმებულიყავი და არაფერი დამეწერაო. მართლა შესთავაზეთ?

- მე ვკითხე, ვერ მოძებნი ისეთ მასალებს, ჩვენ რომ დაგვაკავშირებს და არ გაგვთიშავს-მეთქი? მიპასუხა, შვილები მყავს და ჰონორარებით ვცხოვრობო. მეც შევთავაზე, ისეთი ხალხი მოგვეძებნა, რომელიც სომხისა და ქართველის დამაკავშირებელ ამბებს მოგვაწოდებდა. მე მოვძებნიდი სპონსორს, რომელიც აბდალაძეს სტატიებისთვის ფულს გადაუხდიდა. მე როგორ უნდა

შემთავაზებინა მისთვის ფული?

ცოტაა ისეთი თემები, რომელიც გვაერთიანებს? გეოპოლიტიკური მდგომარეობა, თითქმის საერთო ისტორია, თუნდაც ჰაოსისა და ქართლოსის ლეგენდა. თქვენ კი ყურადღებას ამახვილებთ მხოლოდ პროვოკაციულ ამბებზე(?!). ვიღაცის ავადმყოფობა არ უნდა ვაქციოთ საჯარო განხილვის საგნად.

- მაშინ იქნებ მოვიფიქროთ, როგორ შეიძლება ვაიმეცნიერ აივაზიანის გამოცემული გაზეთ “მეწამორის” უფასოდ გავრცელების აკრძალვა ჯავახეთში, სადაც წერია, რომ ქართული ანბანი სომხებმა დაწერესო და მსგავსი სისულელები. მგონი ეს არის პროვოკაცია და არა ის, რომ ჩვენს ტაძრებს ვიცავთ.

- ეს გაზეთი, რომელშიც სისულელები წერია, წელიწადში ერთხელ იბეჭდება მოსკოვში და არა ერევანში(!). შარშან რუსული სამხედრო ბაზის საშუალებით მოხვდა რეგიონში. წადით და აივაზიანს უთხარით, რატომ უშვებ ანტიქართულ გაზეთებს-თქო. მაგ კაცს არავინ სერიოზულად არ აღიქვამს.

არასერიოზულია ამ საკითხებზე ლაპარაკი. გიმეორებთ, ეს აზარალებს ქართულ-სომხურ ურთიერთობებს.

ისევ წყალთბილას დავუბრუნდეთ, მაინც არ მესმის, რატომ არის ცუდი, თუ ნანგრევებში რაღაც ააშენეს. სჯობდა ნანგრევებად დარჩენილიყო?

- რა თქმა უნდა, რადგან ეს არის ისტორიული, რელიგიური და კულტურული ძეგლი და არა მხოლოდ ნანგრევები. როგორ ფიქრობთ, ბერძნებისთვის, იტალიელებისთვის ან რუსებისთვისაც ხომ არ გვერჩია უძველეს ნანგრევებზე სხვადასხვა სამლოცველოს აშენება?

- მე პატივს ვცემ თქვენს პატრიოტიზმს, მაგრამ მაინც სასურველია, ამ თემაზე არ ვილაპარაკოთ.

- რატომ? ასე ხომ უფრო მეტი ხალხი გაიგებს, რა მნიშვნელობა აქვს ეკლესიის ნანგრევებს.

- მე რომ გენერალური პროკურორი ვყოფილიყავი, თქვენ აუცილებლად მოადგილედ დაგნიშნავდით. ძალიან შეუვალი ხართ... იქნებ მაინც შეგვეკავებინა თავი ამ სტატიის გამოქვეყნებისგან ან ჩემი კომენტარისგან?

- განა უარესი არ იქნება, თუ დავწერთ, რომ ამ თემაზე კომენტარისგან თავი შეიკავეთ.

P. შ. საუკუნის წინ ილია ჭავჭავაძე წერდა, “მარტო შენი მტერი დაგიმაღავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე”. ეს სტატიაც სარკეა. გვინდა მისი დახმარებით საქართველოს მოქალაქე სომეხთა ერთმა ნაწილმა დაინახოს მური, რომელმაც თვალები და სულიც კი დაუფარა. ეგებ სხვას აღარ აუმღვრიონ გონება... ამასთან, სასიამოვნოა ის ფაქტორიც, რომ მესხეთის სომხებშიც მოიძებნებიან ცივილიზებულად მოაზროვნე [პიროვნებები, რომელთაც ესმით, რომ დღეს ყველაფერი დაუფარავად და გულწრფელად უნდა გავარკვიოთ, რათა არც ერთი მხარე არ წამოეგოს დამღუპველ პროვოკაციულ ანკესზე.

კიდევ ერთი... საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნიკა ვაჩიშვილმა გვითხრა: - მალე სამინისტრო განახორციელებს პროექტს, რითაც ჩვენს ძეგლებთან დაკავშირებულ ყველა გაუგებრობას დაესმება წერტილი. ვნახოთ...